**უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.**

| |
|---|
| **5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები** |

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მე-5 სტანდარტის ამ კომპონენტთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია მაგისტრატურის საფეხურზე მობილობის წესის შესწორება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად“

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის მიხედვით, აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის იმ პუნქტს, რომელიც ზღუდავდა სტუდენტის/იუნკერის მობილობას მაგისტრატურის საგნმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის ტიპების მიხედვით.

დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოქმედი, 2023 წლის რედაქცია, რომლის მე-10 და მე-11 მუხლებში აღწერილია როგორც შიდა, ასევე გარე მობილობასთან დაკავშირებული პროცედურები და რეგულაციები და მობილობის შეზღუდვის შემთხვევები (მუხლი 10, პუნქტი 5). სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მოქმედი რედაქციიდან ამოღებულია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ მითითებული პუნქტი სამაგისტრო პროგრამებზე მობილობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური უმაღლესი განათლება).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მე-5 სტანდარტის ამ კომპონენტთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაზიარებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართული უნდა იყვნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის (განსაკუთრებით მაგისტრატურის) სტუდენტები;
2. კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გასაძლიერებლად და გასამრავალფეროვნებლად, ასევე დასაქმების შესაძლებლობებისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორში, უნდა დაინერგოს კარიერული განვითარების ცენტრი/ერთეული;
3. უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

1. სამეცნიერო კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა აკადემიაში წახალისებულია ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების შეთავაზებითა და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის ვალდებულების დაკისრებით. ამასთანავე, მაგისტრატურის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა ხდება აკადემიაში არსებული კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია სფეროში არსებულ კვლევით საჭიროებებთან.

გარდა ამისა, აკადემიას შემუშავებული აქვს კვლევის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიჩნეულია იუნკერების ჩართულობა აკადემიაში მიმდინარე კვლევებში („საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების მჭიდროდ ინტეგრირება აკადემიის კვლევებში. მაგისტრატურის იუნკერები აქტიურად ჩაერთვებიან კვლევით საქმიანობაში;“).

დაწესებულებაში ამჟამად მიმდინარე კვლევით პროექტებში არ დასტურდება იუნკერების ჩართულობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია არის სასწავლო უნივერსიტეტი, სამხედრო პროფილით და ბაკალავრიატის დონეზე იუნკერების კვლევით პროექტებში ჩართულობა არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიაში არსებობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისა და მათი კვლევით საქმიანობაში ჩართვის როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მექანიზმები, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულებაში მიმდინარე კვლევით პროეტებში იუნკერების ჩართულობის გარეშეც აკადემია ადასტურებს სტანდარტის ამ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2. როგორც თვითშეფასების ანგარიშისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ ინტერვიუების საფუძველზე, იკვეთება, რომ დაწესებულების პროფილისა და მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემია მოკლებულია შესაძლებლობას, შეასრულოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია კარიერული განვითარების ცენტრის დაფუძნებისა და სამოქალაქო სექტორში დასაქმების შესაძლებლობების გამრავალფეროვნების თაობაზე.

   დაწესებულებაში ვიზიტის დროს განიმარტა, რომ კურსდამთავრებულების შემდგომი კარიერული განვითარება ხორციელდება თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების შესაბამისი სამსახურების მიერ, წინასწარ განსაზღვრული გეგმისა და კვოტების შესაბამისად და რეგულირდება ისეთი ნორმატიული აქტებითა და დებულებებით, როგორიცაა „ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია“, „სამხედრო განათლების კონცეფცია“, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა პროფესიული და კარიერული განვითარების კონცეფცია“, „სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემების განვითარების სტრატეგია“. როგორც საბაკალავრო,

ასევე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულები დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.
ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე და ასევე, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ აკადემიის საგანმანათლებლო პოლიტიკა მიმართულია თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურების შესაბამისი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაზე და დღეისათვის აქვს დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელი, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაციის შეუსრულებლობა არ იწვევს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნათა შეუსრულებლობას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის ცენტრი, სტუდენტები შეუფერხებლად იღებენ შესაბამის კონსულტაციასა და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით, ანგარიშზე თანდართული და ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ აკადემია მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და გაცვლით პროგრამებში პერსონალისა და იუნკერების მონაწილეობაზე. ამასთანავე, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან/იუნკერებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იცნობენ და იყენებენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იუნკერების და პერსონალის სამეცნიერო კვლევით პროექტებში და გაცვლით პროგრამებში ჩართულობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები;
- დავით აღმაშენებელის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის კვლევის პოლიტიკა;
- იუნკერთა კარიერულ განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

**უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.**

### 6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია:**

- ***ეროვნულ თავდაცვის აკადემიას სჭირდება ძლიერი პოლიტიკა დაწესებულების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისთვის***

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ შეიმუშავა კვლევის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სტრატეგიულ გეგმასთან. სამეცნიერო კვლევების ცენტრის მუშაობაც ეფუძნება ამ დოკუმენტს. მოხდა პლაგიატის წესის გაუმჯობესება. აკადემიის პერსონალის სამეცნიერო მუშაობა გააქტიურებულია, ეს ჩანს, როგორც მათი ნაშრომებიდან, ასევე, ნათელი გახდა ინტერვიუების დროს. პერსონალი საკუთარ კვლევით ნაშრომებს იყენებს სასწავლო კურსების განხორციელებისას. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებენ სანეცნიერო ნაშრომებს. აკადემია გამოსცემს ერთ სამეცნიერო ჟურნალს „შრომები" და ერთ სამხედრო ჟურნალ „სამხედრო შრომები" , ასევე ერთ ინგლისურენოვან საერთაშორისო ჟურნალს „Defence and science" და საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალს „თავდაცვა და მეცნიერება". უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში დაგეგმილია სხვადასხვა სამეცნიერო -კვლევითი აქტივობები, მათ შორის სასერთიფიკატო პროგრამის „სამეცნიერ-კვლევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება" განხორციელება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კვლევის პოლიტიკა;
- აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში;
- საკონფერენციო ნაშრომის და აბსტრაქტების შეფასების კრიტერიუმები;
- საკონფერენციო ნაშრომების და სამეცნიერო ჟურნალში სტატიების შესრულების წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- აკადემიაში განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასერტიფიკატო პროგრამა „სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება";
- საერთაშორისო ელ. ჟურნალი „თავდაცვა და მეცნიერება" დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია:**

- **აკადემიამ უნდა განამტკიცოს კვლევითი სტრატეგიის თანმიმდევრული განხორციელება.**

როგორც 1.2 სტანდარტშია აღწერილი, ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ ცვლილებები განახორციელა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ის შეეხო კვლევით სტრატეგიასაც. მე-3 სტრატეგიული მიზანი სწორედ განსაზღვრულია, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა. განსაზღვრულია ამოცანები და ქვეამოცანები, მათი შესრულების ინდიკატორები. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და ნათელია მონიტორინგის ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ კვლევითი საქმიანობა თანმიმდევრულად დასახული მიზნების შესაბამისად მიმდინარეობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედგო გეგმები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში;
- მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ავტორიზაციისას გაცემული რეკომენდაცია:**

- აკადემიამ უნდა შეიმუშაოს გაზომვადი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიას აქვს წარმოდგენილი „აკადემიაში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“, სადაც განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები. ამჯერად, კრიტერიუმები გაზომვადია და დეტალურადაა გაწერილი პერსონალის როგორც სამეცნიერ-კვლევითი საქმიანობის შესაფასებელი კომპონენტები, ასევე სასწავლო აქტივობების შესაფასებელი კომპონენტები და კრიტერიუმები. ამ დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს აფასებს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესის მიხედვით, აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ავსებს მათ მიერ შესრულებული დატვირთვის ფორმას. ასევე, აკადემიას აქვს სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც სამოქალაქო პერსონალის შეფასებისთვისა შექმნილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიაში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- აკადემიის პირადი შემადგენლობის ფუნქცია - მოვალეობებში, კერძოდ აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის და ცენტრის მთავარი მეცნიერის ფუნქციონალური მოვალეობები;
- აკადემიის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესი;
- აკადემიის სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელო.
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

**უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**

| 7.1 მატერიალური რესურსი |
|---|
| ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.<br>○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>**ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციებია:**<br><br>- აუცილებელია ყველა შენობაში საევაკუაციო ნიშნების განთავსება;<br>- ყველა შენობას უნდა ჰქონდეს ავარიული გასასვლელები;<br>- არქივი დროულად უნდა განახლდეს დოკუმენტების ნორმალური განთავსებისა დამონაცემთა ბაზების მუშაობის უზრუნველსაყოფად;<br>- სახანძრო უსაფრთხოების გეგმა უნდა დაამტკიცოს საქართველოს საგანგებო სიტუაციებისმართვის სამსახურმა;<br>- ყველა შენობა და ავტოსადგომი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის;<br>- აკადემიამ ან უნდა შეწყვიტოს ლექციების ვიდეო მონიტორინგი, ან გამონაკლისი შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობოს ყველა სტუდენტს და პერსონალს და მოითხოვოს ამის დამადასტურებელი ხელმოწერა და ყველგან, სადაც ვიდეო მონიტორინგი ტარდება, უნდა განათავსოს სპეციალური ნიშნები.<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ვიზიტის დროს მოინახულა ყველა ის აღნიშნული კორპუსი, რომელთა შესახებ მითითებული და გაცემული იყო რეკომენდაციები 2022 წლის ავტორიზაციის დროს. ყველა მათგანში განთავსებულია საევაკუაციო ნიშნები. ვიზიტის დროს აკადემიის წარმომადგენლებმა დეტალურად ახსნეს ამ ნიშნების მოქმედების პრინციპი და რეალურადაც იქნა ისინი განათებული. ასევე, ყველა სართულზე განათავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც ორენოვანია, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე, შემოწმდა ავარიული გასასვლელები იმ კორპუსებისთვის, რომელთა შესახებ მითითებული იყო ავტორიზაციის დასკვნაში, კერძოდ, სპორტული კომპლექსი და საგამოცდო ცენტრი. ლაზარეთი, რომელიც ნახსენები იყო ავტორიზაციის დასკვნაში, არ წარმოადგენს საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, შესაბამისად, მისი დათვალიერება აღარ განხორციელდა. სპორტულ კომპლექსს აქვს ერთი ავარიული კარი, რომელიც კალათბურთის დარბაზიდან გადის, ხოლო მეორე სართულზე, გაკეთებულია ავარიული გასასვლელი, სადაც პირი მოხვდება ფანჯრიდან გადასვლის შემთხვევაში, გაივლის აივნის პატარა ნაწილს და გამოიყენებს სპეციალურად საავარიო შემთხვევებისთვის მოწყობილ კიბეს. ასეთივე საავარიო გასასვლელია მოწყობილი საგამოცდო ცენტრში. უნდა აღინიშნოს, რომ ფანჯრიდან გადასვლა ადვილადაა შესაძლებელი, რადგან მისი სიმაღლე არ არის მაღალი.<br>რაც შეეხება არქივის შენობას, ის განახლებული დახვდა ექსპერტთა ჯგუფს. შენობაში განთავსებულია დაარქივებული მასალები, არსებობს აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, რომელიც შემოწმდა დოკუმენტების შემთხვევით შერჩევის პრინციპით. მონაცემთა ბაზები მუშაობს გამართულად. ელექტრონული საქმისწარმოებისთვის გამოიყენება EMOD პლატფორმა.<br>ეროვნული თავდაცვის აკადემიას, გარდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსისა, გააჩნია სამხედრო დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ სახანძრო უსაფრთხოების გეგმა დამტკიცებული უნდა იყოს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, ასე არ არის. თუმცა, ეს საკითხი ნათელია, მას შმდეგ, რაც მათ წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მათ შეეძლოთ გაეზიარებინათ. თავად უსაფრთხოების გეგმის გაზიარება მისი საიდუმლოების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფთან პასუხისმგებელი პირების |

ინტერვიუებმა ნათელყო ეს საკითხი. ეროვნულ თავდაცვის აკადემიას აქვს გამოცემული ბრძანება განწესის შესახებ, ასევე, 2023 წლის ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის თავდაცვის მინისტრის მიერ პერსონალის სადღეღამისო განაწესში დანიშვნის შესახებ ბრძანების საფუძველზე, შექმნილია დოკუმენტი, რომლის თანახმად აკადემიაში იმყოფებიან ადამიანები, ვინც პასუხისმგებელია სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, სახანძრო უსაფრთოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს საკითხი დადასტურდა სხვადასხვა პირებთან ინტერვიუების დროსაც.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ყველა ის შენობა, რომლებშიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში და ასევე, ამ შენობების მიმდებარე ტერიტორიები. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიის ყველა შენობის შესასვლელთან გამოყოფილია საპარკინგე ადგილი შშმ პირებისათვის. ასეთივე სპეციალური საპარკინგე ადგილი მოწყობილია აკადემიის საკონტროლო გამშვებ პუნქტთანაც. რაც შეეხება სასწავლო პროცესში გამოყენებულ შენობებს, აკადემიის წარმომადგენელთა განმარტებით, აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ შენობაზე პირს აქვს დაშვება (უფლება რომ გადაადგილდეს). იმ შენობებში, რომლებზეც შშმ პირებს აქვთ დაშვება, მოწყობილია შესასვლელი პანდუსები. ამ შენობების პირველ სართულებზე კი განსაზღვრულია შესაბამისი სივრცეები შშმ პირებისათვის.

თვითშეფასების ანგარიშსა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, არაერთხელ აღინიშნა, რომ აკადემიის პროფილისა და მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში სტუდენტების/იუნკერების ჩართვის აუცილებელი წინაპირობაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, შესაბამისად, შშმ პირების მიღება სასწავლო პროგრამებზე არ ხდება. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დროებით ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში, ასეთი საკითხები განიხილება ინდივიდუალურად, გამონაკლისის სახით. ასეთი გამონაკლისი შემთხვევებისთვის დაწესებულება იყენებს ზემოთ აღწერილ ადაპტირებულ სასწავლო სივრცეებს. ამასთანავე, აკადემიის ბიბლიოთეკაში მოქმედებს დისტანციური მომსახურების სერვისი შშმ პირებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუზე ასევე აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შშმ პირთა შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, შედგება ინდივიდუალური გეგმები, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურები და მექანიზმები განსაზღვრულია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევებისთვის.

ადგილზე დათვალიერებით დასტურდება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, აკადემიის მიერ ვიდეოკონტროლირებად ტერიტორიებზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი. ასეთივე ნიშნები განთავსებულია ყველა იმ ოთახის, აუდიტორიის კარებზე, რომელშიც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი. გარდა ამისა, აკადემიის პერსონალი ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აკადემიაში არსებული ქონებისა და პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოების, აგრეთვე საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიის ტერიტორიასა და შენობების შიდა სივრცეებში (გარდა საცხოვრებელი, სამუშაო ადგილებისა და სველი წერტილებისა) ტარდება ვიდეო-მონიტორინგი, რაც დადასტურებულია ინდივიდუალური თანხმობითა და ხელმოწერებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შტაბის უფროსის ბრძანება MOD 1 23 00000110;
- თავდაცვის მინისტრის ბრძანება MOD 3 2300000103;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური უმაღლესი განათლება);
- ვიდეო-მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და მასზე ხელმოწერებით თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტისას განხორციელებული დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

- სასურველია, აკადემიამ შექმნას ფორმალური დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება შშმ პირებისათვის სასწავლო პროცესში ჩართვის შეზღუდვები და პროცედურები, მათ შორის - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მე-7 სტანდარტის ამ კომპონენტთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაზიარებულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

ბიბლიოთეკარმა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს განახლებული კანონმდებლობა ან მიეცეთ წვდომა მონაცემთა ბაზაზე, რათა უზრუნველყონ სტუდენტები კანონმდებლობის განახლებული ვერსიებით,

აკადემიის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულების ბიბლიოთეკას გადაეცა matsne.gov.ge-ს ერთი ანგარიში, ხოლო აკადემიის იურიდიულმა სამმართველომ ბიბლიოთეკის პერსონალს ჩაუტარა სამუშაო შეხვედრა პლატფორმის მოხმარებასთან დაკავშირებით.

აკადემიაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ნამდვილად ჰქონდათ წვდომა ზემოთ აღნიშნულ რესურსზე და შეეძლოთ სტუდენტების უზრუნველყოფა განახლებული საკანონმდებლო ბაზით. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- matsne.gov.ge-ს პლატფორმის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსი**

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსი**

○

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

| მტკიცებულებები/ინდიკატორები: |
| --- |
| მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| რეკომენდაციები: |
| რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| შეფასება: |
| მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |